სს მისო ინტელექსპრესის საკრედიტო ბარათებით მომსახურების წესები და პირობები

(საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) საერთო პირობები)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საკრედიტო ბარათის მომსახურების და საკრედიტო ბარათზე კომპანიის მიერ დაშვებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის პირობებს (შემდგომში – პირობები). აღნიშნული კრედიტით სარგებლობის საშუალება კლიენტს მიეცემა მის მიერ საკრედიტო ბარათის განაცხადის შევსებისა და ხელმოწერის შემდეგ, თუმცა კლიენტის მიერ განაცხადის შევსება და ხელმოწერა არ ნიშნავს კომპანიის მხრიდან ასეთი მომსახურების უპირობოდ გაწევას. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია მიზანშეწონილად ჩათვლის, კლიენტს მისცეს საშუალება ისარგებლოს საკრედიტო ბარათზე საკრედიტო ლიმიტის დაშვების გზით (რომელიც ამასთანავე შესაძლოა დაშვებულ იქნას უკვე არსებული საკრედიტო პროდუქტის ფარგლებში), კლიენტი ვალდებულია იხელმძღვანელოს ქვემოთ მოცემული პირობების და კომპანიასთან გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად. წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 02 სექტემბრის N155/04 ბრძანებით დამტკიცებული „საბარათე ინსტრუმენტის შესახებ დებულების“ მოთხოვნების გათვალისწინებით.

1. ტერმინთა განმარტება:

a. კომპანია - სს მისო ინტელექსპრესი, საიდენტიფიკაციო კოდი: 202353176; რეგისტრაციის თარიღი: 28/09/2006; იურიდიული/ფაქტობრივი მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N89/24; ელ. ფოსტა:info@intelexpress.ge; ვებგვერდი: www.intelexpress.net; საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ნომერი: 70307.

b. კლიენტი - ფიზიკური პირი, რომელიც მიმართავს კომპანიას, რათა საკრედიტო ბარათის მეშვეობით ისარგებლოს საკრედიტო ლიმიტით, კომპანიის მიერ დადგენილი წესების და პირობების შესაბამისად;

c. პერსონიფიცირებული ბარათი – ბარათი, რომელზეც ასახულია მფლობელის სახელი ან სახელის ინიციალი და გვარი. ასევე, ბარათის მფლობელის სახელი და გვარი ჩაწერილია ბარათის მაგნიტურ ზოლზე ან/და მიკრო-ჩიპში;

d. საკრედიტო ბარათი - საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულების (შეთანხმების) პირობების შესაბამისად ბარათის მფლობელს საშუალებას აძლევს ოპერაციები განახორციელოს კომპანიის მიერ მინიჭებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში;

e. ემიტენტი – კომპანია (სს მისო ინტელექსპრესი(ს/ნ:202353176)), რომელიც ახდენს საგადახდო ინსტრუმენტის გამოშვებას, რომლითაც შესაძლებელია საბარათე ოპერაციის ინიცირება;

f. საკრედიტო ლიმიტი - თანხის მაქსიმალური ოდენობა, რომლის ფარგლებშიც კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს კომპანიის მიერ საკრედიტო ბარათზე დაშვებული საკრედიტო რესურსით. საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება დააბრუნოს ათვისებული თანხა კომპანიის მიერ საკრედიტო ლიმიტით დაფარვისთვის, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულებისა (შეთანხმებისა) და წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი წესებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

g. საბარათე გადახდის ოპერაცია (შემდგომში - საბარათე ოპერაცია) – საბარათე სქემის მიხედვით საბარათე ინფრასტრუქტურის საშუალებით საბარათე ინსტრუმენტით, მათ შორის, ბარათის რეკვიზიტებით შესრულებული ოპერაციები, რომლის საფუძველზე ხდება ოპერაციის თანხის საბარათე ანგარიშზე ასახვა/ბარათის ბალანსის ცვლილება; ამასთანავე საგადახდო ბარათის ოპერაცია

(საბარათე ოპერაცია) გულისხმობს საკრედიტო ბარათით საქონლის ან/და მომსახურების შეძენას. საკრედიტო გადახდის ოპერაცია შეიძლება ჩატარდეს საკრედიტო ბარათით როგორც ჩვეულებრივად (მაღაზია, ბანკი და სხვა დაწესებულება) ასევე დისტანციურად ინტერნეტის, ტელეფონის ან/და სხვა არხის გამოყენებით, რომელიც არ ითვალისწინებს მომხმარებლის ფიზიკურ ყოფნას საქონლის/მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის ობიექტში.

h. საკრედიტო ბარათის მფლობელი/ბარათის მფლობელი - კლიენტი, რომელსაც კომპანიამ დროებით მფლობელობაში გადასცა კომპანიის საკუთრებაში არსებული საკრედიტო ბარათი;

i. პინი (PIN) – კომპანიის მიერ ბარათის მფლობელისთვის გადაცემული ინფორმაციის შემცველი, კონფიდენციალური კოდი, კომბინირებული ციფრების/რიცხვების შესაბამისად;

j. ბანკომატი – თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც ბარათის მფლობელს შეუძლია ნაღდი ფულის გატანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა საკრედიტო ბარათზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და სხვა კანონმდებლობით და კომპანიის/კომერციული ბანკის მიერ განსაზღვრული ოპერაციების წარმოება;

k. პოს–ტერმინალი – ელექტრონული პროგრამული ან/და ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება:

k.1. პროვაიდერის ოფისიდან თანხის გასატანად;

k.2. სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში საბარათე ინსტრუმენტით გადახდის განსახორციელებლად, რომელიც საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდასთან ერთად (გარდა ელექტრონული კომერციის ოპერაციისა) შესაძლოა მოიცავდეს ნაღდი ფულის გატანასაც;

l. უკონტაქტო საბარათე ინსტრუმენტი - საბარათე ინსტრუმენტი, რომელიც ინფორმაციას გადასცემს უკონტაქტო გადაცემის ტექნოლოგიით;

m. საბარათე სქემა - საერთაშორისო საბარათე სქემები (MasterCard, Visa, UnionPay, American Express და სხვა) და ლოკალური საბარათე სქემები, რომლებსაც გააჩნიათ საერთო წესების, ტექნიკური სტანდარტების და დანერგვის სახელმძღვანელოების ერთობლიობა, რომელთა საფუძველზეც ხორციელდება საბარათე ოპერაციის დამუშავება, ასევე იგი მოიცავს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს ან პირს, რომელიც პასუხისმგებელია სქემის ფუნქციონირებაზე.

n. საბანკო დღე - დღე (შაბათის, კვირის ან კანონმდებლობით განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეების გარდა), როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას;

o. გადახდის თარიღი – თარიღი, რომელი რიცხვის ჩათვლითაც უნდა განხორციელდეს საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში ათვისებული ვალდებულების დაფარვა;

p. ვადაგადაცილების თარიღი – გადახდის თარიღის მომდევნო დღე.

q. ვადაგადაცილებული დავალიანება – კლიენტის დავალიანება კომპანიის წინაშე, რომელიც არ არის დაფარული ხელშეკრულების (შეთანხმების) პირობებით გათვალისწინებულ ვადებში;

r. ოპერაციის ასახვის დღე – საკრედიტო ბარათის ამონაწერში ოპერაციის ასახვის დღე;

s. დამატებითი საკრედიტო ბარათი - საკრედიტო ბარათი, რომელსაც კომპანია გასცემს კლიენტზე ან/და კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირზე და რომელიც მიბმულია კლიენტის არსებულ საბარათე ანგარიშზე.

t. დამატებითი ბარათის მფლობელი/მოსარგებლე - ფიზიკური პირი (მათ შორის კლიენტი), ვის სახელზეც მზადდეება დამატებითი საკრედიტო ბარათი.

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ სხვა ტერმინებს, თუ ამ პირობებით სხვაგვარად არ არის განმარტებული აქვს „საგადახდო სისტემის და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მნიშვნელობები.

2. საკრედიტო ბარათით მომსახურების აღწერა:

საკრედიტო ბარათით მომსახურება გულისხმობს კომპანიის მიერ გამოშვებული ,,მასთერქარდ'' (MasterCard) პლასტიკური ბარათის (შემდგომში "ბარათის"), მეშვეობით, კლიენტის მიერ ოპერაციების განხორციელებას პირობებისა, კომპანიასა და კლიენტს შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად. ბარათის დასახელებაა: ,,მასთერქარდ'' (MasterCard) ბარათი, სქემა: საკრედიტო ბარათი, ტიპი: მასტექარდ (MasterCard) სტანდარტი ან/და გოლდი.
ბარათი შეიძლება გამოყენებული იყოს იმ ბანკომატებში, პოს-ტერმინალით და სხვა ტექნიკური/ინტერნეტის საშუალებებით, ავტორიზებულ ოპერაციებში, სადაც დაშვებულია ,,მასთერქარდ'' (MasterCard) ტიპის ბარათების გამოყენება. ონლაინ ოპერაცია არის ოპერაცია რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით.
ხელშეკრულების (შეთანხმების) საფუძველზე კლიენტს შეუძლია მიიღოს ერთი, ან რამდენიმე ბარათი, ხელმოწერილი განაცხადის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების (შეთანხმების) განუყოფელ ნაწილს. კლიენტისთვის ბარათის გადაცემა ხდება, კლიენტის მიერ ბარათის მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის საფუძველზე.
ბარათით სარგებლობის წესები დეტალურად მოცემულია ,,მასთერქარდ'' (MasterCard) საერთაშორისო საგადახდო სისტემის პროცედურების შესაბამისად, კომპანიის მიერ შედგენილ საინფორმაციო მასალაში, რომელიც განთავსებულია კომპანიის ინტერნეტ-გვერდზე (www.intelexpress.net), ,,მასთერქარდ'' (MasterCard) საერთაშორისო საგადახდო სისტემის პროცედურები და წესები წარმოადგენს პირობების განუყოფელ ნაწილს, ისევე როგორც კლიენტსა და კომპანიას შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) განუყოფელ ნაწილს.
ბარათის მფლობელი არის პირი (კლიენტი), რომლის სახელზეც გაცემულია ბარათი. ბარათის მფლობელის იდენტიფიკაცია ხდება ბარათის ზედაპირზე მითითებული სახელით, გვარით, მასზე დატანილი ხელმოწერის ნიმუშითა და საიდუმლო პერსონალური საიდენტიფიკაციო კოდით - პინით (PIN).
ბარათით შესაძლებელია კომპანიის მიერ ნებადართული ოპერაციების განხორციელება, როგორც საქართველოს ფარგლებში, ასევე საზღვარგარეთ. ბარათით სარგებლობის პერიოდი განისაზღვრება ბარათზე მითითებული ვადის მიხედვით. ბარათის მოქმედების ვადა იწურება ბარათზე მითითებული თვის ბოლო დღის გასვლის შემდეგ.
ბარათით სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებულია კომპანიას გადაუხადოს მომსახურების საკომისიო კომპანიის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
კლიენტისგან საგადახდო დავალების მიღების დროდ ითვლება მომენტი, როდესაც კომპანია მიიღებს საგადახდო დავალებას. .

საგადახდო დავალების საფუძველზე თანხის დაბლოკვა ხდება მომენტალურად, ხოლო საბარათე ანგარიშზე ასახვა ხდება მას შემდეგ, რაც საპროცესინგო ცენტრი მიაწვდის კომპანიას კლირინგის ფაილს.
კლიენტს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს ნებადართული ოპერაციები უშუალოდ საბარათე ანგარიშიდან საგადახდო დავალების საფუძველზე. საგადახდო დავალება, მისი სათანადო შესრულებისათვის, აუცილებელია მოიცავდეს კანონმდებლობით დადგენილ რეკვიზიტებს. კლიენტი ვალდებულია უზრუნველყოს შემდეგი რეკვიზიტების წარმოდგენა დავალების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის:
-გადამხდელის საიდენტიფიკაციო მონაცემები;

-საგადახდო მომსახურების ტიპი (თანხის შეტანა, გამოტანა, გადახდა);
-თანხა, ვალუტა,
-მიმღების მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
-კანონმდებლობით ან/და კომპანიის მიერ დამატებით განსაზღვრული სხვა რეკვიზიტები, რომლებიც შესაძლებელია დამახასიათებელი იყოს დავალების ტიპიდან გამომდინარე.

2.1. ბარათის უსაფრთხოების ძირითადი წესები და ბარათის გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები

ა.ბარათის მფლობელი ვალდებულია უსაფრთხოდ შეინახოს და არ მისცეს მესამე პირებს მისი გამოყენების შესაძლებლობა. არაუფლებამოსილი პირის მიერ წარდგენილი ბარათი ექვემდებარება ჩამორთმევას. ბარათის PIN- კოდს კომპანია კლიენტს გადასცემს დალუქული კონვერტის ან კლიენტის მიერ კომპანიის სისტემაში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი SMS შეტყობინების მეშვეობით.
ბ. რეკომენდირებულია კონვერტის მიღებისთანავე გახსნა, PIN-კოდის დამახსოვრება და PIN-კოდის ფურცლის განადგურება. სისტემაში დაფიქსირებულ ტელეფონის ნომერზე PIN- კოდის Sms-ით გაგზავნის შემთხვევაში, რეკომენდირებულია შეტყობინების მიღებისთანავე მისი გახსნა, PIN-კოდის დამახსოვრება და შეტყობინების განადგურება.
გ. ასევე რეკომენდირებულია მიღებულის PIN- კოდის შეცვლა პარტნიორი ბანკის ბანკომატში.
დ. PIN-კოდი ცნობილია მხოლოდ კლიენტის/ბარათის მფლობელისთვის და შესაბამისად კლიენტმა/ბარათის მფლობელმა იგი უნდა შეინახოს და გამოიყენოს კონფიდენციალურად.
ე. PIN-კოდის კონფიდენციალურობის მიზნით უნდა იქნას დაცული გარკვეული წესები, კერძოდ არ შეინახოთ PIN-კოდი ბარათთან ერთად და არავითარ შემთხვევაში არ დააწეროთ PIN-კოდი ბარათს. არ გადასცეთ PIN-კოდი ან/და ბარათი მესამე პირს. არ გახადოთ PIN-კოდი ან/და ბარათი ხელმისაწვდომი/თვალსაჩინო მესამე პირისთვის.
ვ. საბარათე ოპერაციებს, რომლებიც სრულდება ავტორიზაციის რეჟიმში და რომლის დადასტურებაც ხდება PIN-კოდის აკრეფით, კომპანია მიიჩნევს კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ შესრულებულად, გარდა იმ საბარათე ოპერაციებისა, რომლებიც საჭიროებს ძლიერ ავთენტიფიკაციას.
ზ. იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ ეჭვი, რომ თქვენი ბარათის PIN კოდი ან/და ბარათზე დატანებული მონაცემები ცნობილი გახდა მესამე პირებისთვის, ან თუ დაკარგეთ ბარათი, დაუყონებლივ დაუკავშირდით კომპანიას. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი მოითხოვს მისთვის PIN კოდის გადაცემას კონვერტით, ის იქნება მოთავსებული სპეციალურ დალუქულ კონვერტში, რომლის დაზიანების ან გახსნის საეჭვოობის აღმოჩენის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას აღნიშნულის შესახებ და კომპანია შესთავაზებს ბარათის დაბლოკვას/გაუქმებას და მისთვის ახალი ბარათის დამზადებას. დამატებითი უსაფრთხოებისთვის, კონვერტით გადასაცემი PIN კოდი მომხმარებელს გადაეცემა ბარათისგან დამოუკიდებლად.
თ.**ზოგადი რეკომენდაციები ბარათის ბანკომატში გამოყენების დროს:**

- პინის აკრეფისას დარწმუნდით, რომ იგი არ არის ხილვადი გვერდზე მდგომი მესამე პირისთვის;
- ქვეყნის გარეთ ეცადეთ განახორციელოთ ოპერაცია იმ ბანკომატებში, რომლებიც განთავსებულია ბანკის ფილიალებში, სახელმწიფო ორგანიზაციებში, დიდ სავაჭრო ცენტრებში, სასტუმროებში, აეროპორტებში და ა.შ.
- ყურადღებით გაეცანით ბანკომატზე გამოტანილ შეტყობინებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რადგან ის შეიძლება გაცნობდეთ დამატებითი მომსახურების საკომისიოს შესახებ.

ი. ზოგადი რეკომენდაციები ბარათის ინტერნეტ ქსელში გამოყენებისას:

- უმჯობესია ინტერნეტ გადახდები განხორციელდეს ძლიერი ავთენტიფიკაციის მოთხოვნების გათვალისწინებით;

- უმჯობესია ინტერნეტ ქსელში ბარათი გამოიყენოთ მხოლოდ თქვენს პირად კომპიუტერში, რადგან არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის დამახსოვრების რისკი.

- ბარათი გამოიყენეთ მხოლოდ სანდო და ცნობილ ინტერნეტ საიტებზე.

- არ ენდოთ დაუჯერებლად მიმზიდველ შემოთავაზებას.

კ. ზოგადი რეკომენდაციები ბარათის სავაჭრო ობიექტებში გამოყენებისას(პოს-ტერმინალი):

- არასოდეს გაატანოთ ბარათი მომსახურე პერსონალს მათ შორის რესტორანში ან ბენზინ/გაზ გასამართ სადგურში.

- მოითხოვეთ ბარათით ოპერაციის ჩატარება მოხდეს თქვენი თანდასწრებით, რათა შემცირდეს ბარათიდან მონაცემების უკანონო დაუფლების რისკი.

-გადაამოწმეთ განაღდებული თანხის ოდენობა სმს შეტყობინებაში ან ქვითარზე.

ლ. კლიენტი / ბარათის მფლობელი აცნობიერებს ასევე, რომ ბარათით მომსახურება დაკავშირებულია და არ ამოიწურება შემდეგი შესაძლო რისკებით:

- ბარათის და მისი რეკვიზიტების მესამე პირების მხრიდან არამართლზომიერი დაუფლება, მათ შორის კიბერდანაშაული;

-პინ-კოდის სხვა პირებისთვის, მათ შორის ნათესავებისთვის, კომპანიის თანამშრომლებისთვის, სავაჭრო და მომსახურების ობიექტების თანამშრომლებისთვის გამჟღავნება;

-პინ-კოდის ჩანიშვნა ან ჩაწერა, მათ შორის რაიმე ფორმით ბარათზე მითითება;

-პინ-კოდის გამჟღავნება ელ.ფოსტის, ტელეფონისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენებით;

-კლიენტი / ბარათის მფლობელი პასუხისმგებელია მესამე პირისთვის ბარათის გადაცემის შემთხვევაში ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ ოპერაციასა და კომპანიის მიმართ წინამდებარე პირობების შესაბამისად წარმოშობილ ყოველგვარ ვალდებულებებზე;

-არაავტორიზებული წვდომა;

-კომპიუტერული ვირუსების გავრცელება.

მ. ავტორიზებული/არაავტორიზებული ოპერაციები და 3D უსაფრთხოება

„ავტორიზაცია“ („ავტორიზებული ოპერაცია“) გულისხმობს, გადახდის ოპერაციის დადასტურებას (თანხმობას) პინ კოდით და/ან ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდით (CVC) და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობით და/ან კომპანიის მიერ დადგენილი სხვა მექანიზმით, რომელიც გადაეცემა უშუალოდ კლიენტს/ბარათის მფლობელს და რომლის კონფიდენციალობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი/ბარათის მფლობელი. ამასთან, ექვაიერი ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ოპერაციები ბარათის მფლობელმა/კლიენტმა შეიძლება განახორციელოს პინ კოდით დადასტურების გარეშე; ხოლო მომხმარებლის მიერ დისტანციურად ონლაინრეჟიმში თავის საგადახდო ანგარიშზე წვდომის მოთხოვნისას, ელექტრონული გადახდის ოპერაციის ინიცირებისას, დისტანციური არხის საშუალებით ნებისმიერ ისეთ ქმედებისას, რომელიც თაღლითობის ან/და სხვა უკანონო ქმედების რისკის მატარებელია, კომპანია გამოიყენებს თავის მიერ დადგენილი ძლიერი ავთენტიფიკაციის მექანიზმებს, მათ შორის 3D უსაფრთხოების პროცედური გავლას და ერთჯერადი სმს კოდის დადასტურებას საგადახდო არხში.

„არაავტორიზებული ოპერაცია“ გულისხმობს გადახდის ოპერაციას, რომელიც არ არის შესრულებული კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებართვით და არ არის ავტორიზებული.

3.ბარათთან დაკავშირებული პროცედურები

ბარათით ოპერაციების წარმოებისათვის კომპანია განსაზღვრავს შესაბამის საკრედიტო ლიმიტ(ებ)ს.

კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს საკრედიტო ბარათზე არსებული საკრედიტო თანხა ბარათის მომსახურების საკომისიოების გამოკლებით. თანხის გადახარჯვის (საკრედიტო ლიმიტის ზევით თანხის გახარჯვა) შემთხვევაში კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება კომპანიას

გადაუხადოს გადახარჯვასთან დაკავშირებული საკომისიოები/ხელშეკრულებით (შეთანხმებით) დაწესებული პირგასამტეხლო და/ან ჯარიმა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ბარათისა და საკრედიტო ლიმიტის გამოყენება შეიძლება დამატებით შეიზღუდოს კომპანიის მიერ ცალმხრივად შესაბამისი ლიმიტების დაწესების გზით.

ბარათის მისაღებად კლიენტმა კომპანიას უნდა წარუდგინოს შესაბამისი ხელმოწერილი განაცხადი.

განაცხადის მიღებიდან განსაზღვრულ ვადაში, (საკრედიტო ლიმიტის დაშვების შემთხვევაში) კომპანია დაამზადებს და კლიენტს/ბარათის მფლობელს გადასცემს ბარათს და პინ-კოდს, შესაბამის დოკუმენტაციასთან ან/და საინფორმაციო მასალასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, თუ ბარათის დამზადებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში კლიენტი ან ბარათის მფლობელი არ ჩაიბარებს ბარათს, კომპანიას უფლება ექნება გაანადგუროს ბარათი და ამ შემთხვევაში, კლიენტს არ უბრუნდება მის მიერ გადახდილი მომსახურებისთვის გაწეული ხარჯები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

4. საკრედიტო ბარათზე არსებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობა, საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა

ათვისებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობისათვის ბარათის მფლობელი ვალდებული იქნება გადაუხადოს კომპანიას სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი დგინდება კლიენტსა და კომპანიას შორის გაფორმებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) ტარიფების შესაბამისად, კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი) დღეზე გაანგარიშებით. სარგებელი (პროცენტი) ათვისებულ საკრედიტო ლიმიტს დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე. კლიენტსა და კომპანიას შორის გაფორმებული საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით (შეთანხმებით) შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს საშეღავათო პერიოდი სარგებლის დარიცხვასთან დაკავშირებით, რომლის პირობებიც განსაზღვრული იქნება აღნიშნული ხელშეკრულებით (შეთანხმებით).

საკრედიტო ლიმიტის ან მისი ნაწილის ათვისების მომენტიდან ბარათის მფლობელს წარმოეშობა გადასახდელი თანხის კომპანიისთვის გადახდის ვალდებულება ათვისებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში. გადასახდელი თანხა, როგორც წესი, მოიცავს: ათვისებულ საკრედიტო ლიმიტს და ათვისებულ საკრედიტო ლიმიტზე დარიცხულ სარგებელს და პირგასამტეხლოს. აღნიშნული წესი გამოიყენება საკრედიტო ლიმიტის ან მისი ნაწილის ათვისების ყოველ ჯერზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბარათით თანხების განკარგვა (ნაღდი ან/და უნაღდო წესით) განხორციელდება საკრედიტო ლიმიტის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ ბარათის მფლობელის (კლიენტის) საკრედიტო ლიმიტიდან მოხდება თანხის ჩამოწერა კონვერტაციის გზით. კონვერტაცია კომპანიის ქსელში და ქსელის გარეთ მოხდება ანგარიშსწორების დღისთვის კომპანიის მიერ საბარათე სისტემისთვის დადგენილი კომერციული კურსით, რაც კლიენტისთვის ხელმისაწვდომია კომპანიის ვებგვერდზე www.intelexpress.net. ამასთანავე, კომპანიის ვებგვერდზე კლიენტს შეეძლება ისტორიული საორიენტაციო კურსების ნახვა კანონმდებლობით გათვალისწინებულ პერიოდზე.

საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის შემთხვევაში კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ შეავსოს ზედმეტად დახარჯული (გადახარჯული) თანხა. საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვა არის საკრედიტო ლიმიტის ზევით თანხის გახარჯვა.

საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის სარგებლობისათვის კლიენტი ვალდებული იქნება გადაუხადოს კომპანიას საპროცენტო სარგებელი, რომლის წლიური განაკვეთი განისაზღვრება საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვით წარმოშობის მომენტისთვის კომპანიის მიერ საკრედიტო ლიმიტის გადახარჯვის სარგებლობისთვის დადგენილი ტარიფების შესაბამისად, კალენდარული წლის 365 (სამას სამოცდახუთი)

დღეზე გაანგარიშებით. საკრედიტო ლიმიტს გადახარჯვის საპროცენტო სარგებელი (პროცენტი) დაერიცხება წარმოშობის თარიღიდან მისი სრულად დაფარვის (ფაქტობრივად გადახდის) თარიღამდე.
კლიენტის მიერ ბარათით ATM, POS, E-Commerce_ით და კომპანიის ტერმინალით ოპერაციის შესრულებისთანავე კომპანია ახორციელებს თანხის ბლოკირებას შესრულებული ტრანზაქციის თანხის შესაბამისად. ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება კომპანიის მიერ საბარათე სისტემისთვის დადგენილი კომერციული კურსი. MasterCard საკრედიტო ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები საპროცესინგო ცენტრიდან მოწოდებული კლირინგის ფაილის საფუძველზე აისახება კლიენტის საბარათე ანგარიშზე. კლიენტის მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია კომპანიის ფილიალებში (და სხვადასხვა დისტანციური არხების მეშვეობით). ოპერაციის ტიპიდან გამომდინარე, კლიენტზე შეიძლება გაიცეს ამონაწერი, ცნობა, ქვითარი ან/და სხვა დოკუმენტი კომპანიის მიერ განსაზღვრული ფორმით და პირობებით.

5. ბარათის და საკრედიტო ლიმიტის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება

ბარათის მოქმედება შეჩერდება ბარათის მფლობელის სურვილის დაფიქსირების, ბარათის მფლობელის მხრიდან გაცხადებული დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის შემთხვევაში. ბარათის მფლობელი ვალდებულია ბარათის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით (კომპანიაში სამუშაო საათებში მისვლის მეშვეობით) ან ტელეფონით (ნომერზე +995 32 2 49 25 25 ან არასამუშაო დროს შემდეგ ტელეფონის ნომერზე +995 32 2 77 72 22) შეატყობინოს კომპანიას. კომპანია შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოფს ბარათის მოქმედების შეჩერებას სტოპ-სიაში „სტოპ-სია“ არის, იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სია, რომლებზედაც შეზღუდულია ტრანზაქციების განხორციელება და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი;
„ავტორიზაცია“ („ავტორიზებული ოპერაცია“) გულისხმობს, გადახდის ოპერაციის დადასტურებას (თანხმობას) პინ კოდით და/ან ბარათის უკანა მხარეს განთავსებული უსაფრთხოების კოდით (CVC) და/ან ამ რეკვიზიტების ერთობლიობით და/ან კომპანიის მიერ დადგენილი სხვა მექანიზმით, რომელიც გადაეცემა უშუალოდ კლიენტს/ბარათის მფლობელს და რომლის კონფიდენციალობაზეც პასუხისმგებელია კლიენტი/ბარათის მფლობელი. ამასთან, ექვაიერი ბანკის მიერ განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ოპერაციები ბარათის მფლობელმა/კლიენტმა შეიძლება განახორციელოს პინ კოდით დადასტურების გარეშე; ხოლო მომხმარებლის მიერ დისტანციურად ონლაინრეჟიმში თავის საგადახდო ანგარიშზე წვდომის მოთხოვნისას, ელექტრონული გადახდის ოპერაციის ინიცირებისას, დისტანციური არხის საშუალებით ნებისმიერ ისეთ ქმედებისას, რომელიც თაღლითობის ან/და სხვა უკანონო ქმედების რისკის მატარებელია, კომპანია გამოიყენებს თავის მიერ დადგენილი ძლიერი ავთენტიფიკაციის მექანიზმებს, მათ შორის 3D უსაფრთხოების პროცედური გავლას და ერთჯერადი სმს კოდის დადასტურებას საგადახდო არხში.

„არაავტორიზებული ოპერაცია“ გულისხმობს გადახდის ოპერაციას, რომელიც არ არის შესრულებული კლიენტის/ბარათის მფლობელის ნებართვით და არ არის ავტორიზებული.
კომპანია ვალდებულია კლიენტს აუნაზღაუროს არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული გადახდის ოპერაციის თანხა სრულად ან ნაწილობრივ კანონით ან/და წინამდებარე პირობებით დადგენილი წესების შესაბამისად, თუ კლიენტის მიერ კომპანიისთვის მიმართვა განხორციელდა არაავტორიზებული ოპერაციის შესრულებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადაში, ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 (ასოთხმოცი) დღეზე მეტი და კლიენტმა არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესახებ კომპანიას ამგვარი ოპერაციის თაობაზე ინფორმაციის მიღებიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინა და კლიენტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით (შეთანხმებით) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს.

ბარათის მფლობელის მიერ ბარათით სარგებლობის პირობებით/წესებით/საერთაშორისო MasterCard, საბარათე სისტემისთვის განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში კომპანიას ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ან დაბლოკოს ბარათის მოქმედება.
ბარათზე მითითებული ვადის განმავლობაში ბარათის მფლობელი არ არის ვალდებული აანაზღაუროს ბლოკირებული ბარათით განხორციელებული არაავტორიზებული ოპერაციებით წარმოშობილი ზიანი.
ბარათის მფლობელი უფლებამოსილია წერილობით გაასაჩივროს საერთაშორისო სტოპ-სიაში შეტანის გზით ბლოკირებული ბარათით განხორციელებული ტრანზაქცია კომპანიასთან, რის შესახებაც კომპანია აცნობებს MasterCard-ს, რათა განახორციელოს სათანადო პროცედურები. .
ბარათის მფლობელი ვალდებულია გადაიხადოს ბარათის სტოპ-სიაში შეტანის საკომისიო (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირობებით/წესებით/საერთაშორისო MasterCard, საბართე სისტემისთვის დადგენილი წესების შესაბამისად.
კომპანიას უფლება აქვს შეაჩეროს/გააუქმოს ბარათი:

- კლიენტის წერილობითი განაცხადის მიღების ან ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვიდან 30 (ოცდაათი) დღის გასვლის შემდეგ, თუ ამ ხნის განმავლობაში კლიენტი არ წარუდგენს კომპანიას წერილობით მოთხოვნას ბარათის მოქმედების გაგრძელების შესახებ.
- კომპანიას და ,,მასთერქარდს'' (MasterCard) შორის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში (ამ შემთხვევაში კომპანია ვალდებულია არანაკლებ ერთი თვით ადრე შეატყობინოს ბარათის მფლობელს ბარათის გაუქმების შესახებ).
- კომპანიის ცალმხრივი გადაწყვეტილების საფუძველზე, რის შესახებაც კლიენტს აცნობებს ასეთი ფაქტის დადგომის შემდეგ.

ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებს კომპანია აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის – მონიტორინგის მოდულის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანიას უფლება აქვს დროებით შეაჩეროს ბარათის მოქმედება საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას (მონიტორინგი).

6.მხარეთა ვალდებულებები და უფლებები

6.1.კომპანია ვალდებულია:

- გადასცეს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს/ბარათის შემძენს საბარათე ინსტრუმენტით სარგებლობის წესი და რეკომენდაციები საბარათე ინსტრუმენტის სარგებლობასთან დაკავშირებით;
- გააცნოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელს/ბარათის შემძენს საბარათე ინსტრუმენტის სარგებლობის პირობების დაცვის მნიშვნელობა და გაუწიოს რეკომენდაციები საბარათე ინსტრუმენტის უსაფრთხო გამოყენებასთან დაკავშირებულ ქმედით წესებზე;
- კლიენტისგან წერილობითი საჩივრის მიღების შემდგომ მიიღოს ყველა შესაძლო ზომა საბარათე ინსტრუმენტის დაცულობისა და მისი არამართლზომიერი გამოყენების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;
- განიხილოს საბარათე ინსტრუმენტის მფლობელის საჩივარი განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით წინამდებარე პირობების მე-10 მუხლით დადგენილი წესით;
- დაიცვას ბარათის მფლობელის პერსონალური მონაცემებისა და საბარათე ინსტრუმენტით განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- აღრიცხოს და შეინახოს ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი ვადით მის მიერ გაცემული ყველა ტიპის საბარათე ინსტრუმენტის მფლობელებისა და ამ ინსტრუმენტების საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ.

- <u>კომპანია არ არის პასუხისმგებელი:</u>
  -ბარათის მფლობელსა და მომსახურების ობიექტებს შორის წარმოქმნილ სადავო სიტუაციებზე.
  -ბარათის არასანქცირებული/არაავტორიზებული გამოყენებისათვის.
  -ისეთ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულებულია დაკარგული/მოპარული ბარათით, თუ ბარათის მფლობელმა არ უზრუნველყო დაკარგული/მოპარული ბარათის დროული ბლოკირება.
  -ბარათის დაკარგვის/მოპარვის შემთხვევაში, ბარათის დაკარგვის/მოპარვის შესახებ წერილობითი ან/და ელექტრონული ან/და შესაბამისი ზეპირი განაცხადის/შეტყობინების მიღებამდე ბარათით განხორციელებულ არაავტორიზებულ ოპერაციაზე.
  -ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო ოპერაციაზე.
  -ცრუ შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე.
  -ბარათის მოქმედების შეჩერებაზე.
  -დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის ან ტექნიკური მიზეზების გამო.
- <u>კომპანია პასუხისმგებელია დამდგარ ზიანზე თუ მის მიერ განზრახ ბრალეული ქმედებით არ შესრულდება გადახდის ოპერაცია, ან შესრულდება არასწორად ან ვადის დარღვევით. აღნიშნულ შემთხვევაში, კომპანია მზადაა აუნაზღაუროს კლიენტს მიყენებული პირდაპირი ზიანი გარდა წინამდებარე პირობებში მითითებული შემთხვევებისა ან/და ქვემოთ მოცემული შემთხვევებისა:</u>
  -როდესაც გადახდის ოპერაცია განხორციელდა კლიენტის მიერ ხელშეკრულებით (შეთანხმებით) განსაზღვრული უსაფრთხოების დაცვის მოთხოვნების დარღვევის შედეგად;
  -თუ კლიენტი არ უზრუნველყოფს, დროულად შეატყობინოს კომპანიას ბარათის/პინ კოდის დაკარგვის ან ნებისმიერი სხვა მოვლენის შესახებ, რომელსაც შესაძლებელია, გავლენა მოეხდინა კლიენტის ბარათის უსაფრთხოებაზე მას შემდეგ, რაც კლიენტი შეიტყობს აღნიშნული ფაქტის დადგომის შესახებ, ამ შემთხვევაში შეტყობინების მომენტამდე დამდგარ ზარალზე პასუხისმგებლობა დაეკისრება კლიენტს;
  -როდესაც განხორციელდა არაავტორიზებული ოპერაცია კლიენტის მიერ საბარათე მონაცემების განზრახ ან გაუფრთხილებლობის საფუძველზე გაცემის შედეგად, რა შემთხვევაშიც ყველანაირ ზარალზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ კლიენტს;
  -არაავტორიზებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან გასულია 40 (ორმოცი) დღეზე მეტი, ან კლიენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონმდებლობით, ან/და ხელშეკრულებით (შეთანხმებით) ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს.

6.2.კლიენტი ვალდებულია:

a. საბარათე ინსტრუმენტის/საბარათე მონაცემების, დაკარგვის, მოპარვის, მითვისების ან მისი საშუალებით არაავტორიზირებული ოპერაციის შესრულების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, ბარათის მფლობელი ვალდებულია ფაქტის აღმოჩენიდან დაუყოვნებლივ აცნობოს კომპანიას აღნიშნულის თაობაზე.
b. საკრედიტო ლიმიტის მთელი მოქმედების პერიოდში განახორციელოს კომპანიის წინაშე ხელშეკრულებით (შეთანხმებით) ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულება;
c. დაიცვას კომპანიის და MasterCard საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ დადგენილი წესები და პირობები.
d. გადაცემის მომენტში შეამოწმოს იმ კონვერტის მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია პინ-კოდი (PIN), ამასთანავე შესაძლებელია კლიენტს ბარათის გადაცემის მომენტში, მობილურ ნომერზე სმს შეტყობინებით გადაეცეს პინ კოდი (PIN);
e. დაიცვას ბარათის უსაფრთხოების წესები;

f. ბარათის გამოყენებით შესრულებული ოპერაციების (ტრანზაქციების) არ ცნობის შემთხვევაში (არაავტორიზებული ოპეარცია) წერილობით მიმართოს კომპანიას ოპერაციის განხორციელებიდან (ტრანზაქციიდან) 40 (ორმოცი) კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულებიდან 180 დღის განმავლობაში (საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ კანონით გათვალისწინებული წესი). წინააღმდეგ შემთხვევაში, საჩივრები თანხის დაბრუნებაზე არ მიიღება. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს ,, MasterCard ’’ მიერ პრობლემის გამოძიებასთან დაკავშირებით დაწესებული დამატებითი მომსახურებების საფასური (არსებობის შემთხვევაში). გარკვეულ შემთხვევებში კომპანიამ შესაძლოა მოითხოვოს და კლიენტი ვალდებულია წარმოადგინოს: ქვითარი, ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული დასტური, შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი გაპროტესტებულ ტრანზაქციებთან დაკავშირებით.

g. არ დაუშვას ბარათის ან პინ-კოდის (PIN) მესამე პირებისთვის გადაცემა (გამჟღავნება) და შენახვა მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას;

h. აანაზღაუროს კომპანიის მიერ გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ,,MasterCard’’ მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

i. ტრანზაქციის (ოპერაციის) გასაჩივრების შედეგად თანხის დაბრუნების შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია კლიენტის მიერ საჩივრის წარდგენიდან მაქსიმუმ 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს კლიენტისთვის თანხის დაბრუნება.

კლიენტი ვალდებულია, ყველა ფინანსური და პერსონალური ინფორმაცია კომპანიისთვის მიწოდებულ იქნას სწორად, ზუსტად, მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, კლიენტი სრულად იღებს პასუხისმგებლობას მიწოდებულ/წარდგენილი ინფორმაციის კანონიერების შესახებ.

კლიენტი პასუხისმგებელია ნებისმიერი დაუდევარი ქმედებით გამოწვეულ ზიანზე ან/და ზარალზე, რითაც კლიენტმა ხელი შეუწყო არაავტორიზებული ოპერაციის განხორციელებას ან თაღლითურად იმოქმედა.

კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ბარათის საშუალებით.

კლიენტს ეძლევა რეკომენდაცია შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან მინიმუმ 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი კომპანიას.

6.3.,კომპანია უფლებამოსილია:

a. დაუყონებლივ უზრუნველყოს საკრედიტო ბარათის შემდგომი გამოყენების აღკვეთა ან დროებით დაბლოკვა, თუ კომპანიას აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ საკრედიტო ბარათით შესაძლოა ხორციელდებოდეს არაავტორიზებული ოპერაციები. აღნიშნულ შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია ინფორმაცია დაუყონებლივ გაუგზავნოს საკრედიტო ბარათის მფლობელს.

b. კლიენტის საკრედიტო ლიმიტზე ვადაგადაცილებული დავალიანების არსებობის შემთხვევაში მოითხოვოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაცია, ხელშეკრულებით (შეთანხმებით) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

c. შეაჩეროს/გაუქმოს საკრედიტო ბარათის მოქმედება ან/და შეწყვიტოს პირობებით გათვალისწინებული საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტით სარგებლობის უფლება ან შეამციროს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტი კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე და მოითხოვოს კლიენტის მიერ ათვისებული თანხის დაბრუნება მასზე დარიცხულ პროცენტთან, საკომისიოსთან და პირგასამტეხლოსთან ერთად, თუ:

   1) კლიენტი დაარღვევს კომპანიასთან გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტით/ხელშეკრულებით (შეთანხმებით), წინამდებარე პირობებით, საერთაშორისო MasterCard-ის და სხვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პირობებს;

2) გაუარესდება კლიენტის ფინანსური მდგომარეობა ან კომპანიას მიაჩნია, რომ შეიქმნება ამგვარი გარემოების დადგომის საფრთხე;
3) კლიენტს კომპანიის წინაშე გააჩნია ნებისმიერი სახის ვადაგადაცილებული საკრედიტო დავალიანება;
4) კლიენტის მოქმედება მიმართულია კომპანიის მოტყუების/თაღლითობის და/ან სხვაგვარი სახის უკანონო ქმედებისკენ.

d. მოსთხოვოს კლიენტს საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის უზრუნველყოფა იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის ან სხვა უზრუნველყოფის სახით;

e. დაბლოკოს ბარათი ან/და საკრედიტო ლიმიტი (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან საკრედიტო ლიმიტზე ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.

f. პერიოდულად განახორციელოს საკრედიტო ბარათის მფლობელის საკონტაქტო ინფორმაციის განახლება და უზრუნველყოს ამ ინფორმაციის დაცულობა.

g. საკუთარი შეხედულებისამებრ, საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული საკრედიტო დავალიანება და ნებისმიერი ფინანსური ხარჯი (მათ შორის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს თანხები, წლიური საპროცენტო განაკვეთი და ა.შ.) ჩამოწეროს/ჩამოჭრას საკრედიტო ლიმიტიდან.

h. მიუხედავად იმისა სახეზეა თუ არა წინამდებარე პირობებით დადგენილი საკრედიტო ბარათის მოქმედების შეჩერების/გაუქმების ან/და საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები/პირობები, კომპანია უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ კლიენტის თანხმობისა და წინასწარი შეტყობინების გარეშე მიიღოს ცალმხრივი გადაწყვეტილება საკრედიტო ბარათის მოქმედების შეჩერების/გაუქმების შესახებ ან/და საკრედიტო ლიმიტით სარგებლობის უფლების შეწყვეტის შესახებ.

i. კლიენტს მოთხოვნისთანავე გადასცეს განხორციელებული ოპერაციების ამონაწერი კომპანიაში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიოს საფასურად (ამასთან, ჩატარებული ოპერაციების ამონაწერი თვეში ერთხელ უფასოდ გაიცემა კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში). ამონაწერის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, მასში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად;

6.4..კლიენტი უფლებამოსილია:

a. მიმართოს კომპანიას თხოვნით საკრედიტო (ხარჯვის) ლიმიტის მოცულობის გაზრდის ან შემცირების შესახებ;

b. მოითხოვოს ჩატარებული ოპერაციების ამონაწერი თვეში ერთხელ უფასოდ;

c. მოითხოვოს საკრედიტო ბარათით მომსახურების შეწყვეტა ნებისმიერ დროს. ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს საკრედიტო ბარათთან დაკავშირებული ყველა ვალდებულება მისი მომსახურების შეწყვეტამდე.

7. დამატებითი საკრედიტო ბარათი

კომპანია უფლებამოსილია კლიენტისთვის გამოყოფილი საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში გასცეს დამატებითი საკრედიტო ბარათი. ოპერაციების საწარმოებლად კლიენტს ან დამატებითი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს გადაეცემა კლიენტის განაცხადის შესაბამისად დამზადებული ბარათი და პინ-კოდი. როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი საკრედიტო ბარათ(ებ)ი მიბმულია კლიენტის არსებულ საბარათე ანგარიშზე.

დამატებით საკრედიტო ბარათზე სრულად ვრცელდება პირობებით დადგენილი წესები და პირობები (მათ შორის საკრედიტო ბარათით მომსახურების აღწერა, ბარათის უსაფრთხოების ძირითადი წესები და ბარათის გამოყენებასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები, ბარათთან დაკავშირებული პროცედურები და ა.შ.) ამ თავში მოცემული სპეციალური პირობების გათვალისწინებით. როცა დამატებითი ბარათის მფლობელი/მოსარგებელეა მესამე პირი და არა უშუალოდ კლიენტი, დამატებითი ბარათით სარგებლობის შედეგად, კომპანიას წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებზე, ასევე დამატებითი საკრედიტო ბარათის უსაფრთხოებაზე ან/და მის არაავტორიზებულ გამოყენებაზე პასუხისმგებელია კლიენტი.

როდესაც კლიენტი ითხოვს დამატებითი საკრედიტო ბარათის დამზადებას მესამე პირისათვის, კლიენტი თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს კომპანიას, გადასცეს დამატებითი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ბარათთან დაკავშირებულ ანგარიშს, იმ მოცულობით, რაც აუცილებელია დამატებითი საკრედიტო ბარათის ჯეროვნად გამოყენებისთვის.

დამატებითი საკრედიტო ბარათის დაბლოკვის/გაუქმების მოთხოვნის უფლება როგორც კლიენტს, ასევე დამატებითი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს.

დამატებითი ბარათის მფლობელის/მოსარგებლის მიერ, კლიენტსა და კომპანიას შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით (შეთანხმებით) ან/და პირობებით განსაზღვრული რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში კომპანიას ნებისმიერ დროს შეუძლია შეაჩეროს ან დაბლოკოს როგორც ძირითადი, ისე დამატებითი საკრედიტო ბარათების მოქმედება.

კლიენტი ვალდებულია, დამატებითი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს გააცნოს პირობები, ასევე კლიენტსა და კომპანისა შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით (შეთანხმებით) გათვალისწინებული პირობები და დამატებით ბარათთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა დოკუმენტი და იყოს პასუხისმგებელი, რომ დამატებითი ბარათის მფლობელი დაიცავს მითითებული დოკუმენტების მოთხოვნებს. ამასთან, დამატებითი საკრედიტო ბარათით სარგებლობის შედეგად, კომპანიას წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებზე (მათ შორის, ძირ თანხაზე, საკომისიოებზე, დარიცხულ სარგებელზე, პირგასამტეხლოზე/ჯარიმაზე), ასევე დამატებითი საკრედიტო ბარათის უსაფრთხოებაზე ან/და მის არაავტორიზებულ გამოყენებაზე პასუხისმგებელია კლიენტი.

დამატებითი ბარათის მფლობელისათვის/მოსარგებლისთვის შესაძლებელია შეზღუდული იყოს გარკვეული ტიპის მომსახურების/ინფორმაციის მიღება ბარათის მეშვეობით. შეზღუდვ(ებ)ის შესახებ ინფორმაციას დამატებითი ბარათის მფლობელი/მოსარგებლე მიიღებს მოთხოვნისთანავე.

დამატებითი საკრედიტო ბარათზე ასევე ვრცელდება კლიენტსა და კომპანიას შორის გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებით (შეთანხმებით) და დამატებითი საკრედიტო ბარათით სარგებლობის განაცხადით დადგენილი წესები და პირობები.

დამატებითი საკრედიტო ბარათის გატანა შეუძლია დამატებითი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს. კომპანია უფლებამოსილია დამატებითი ბარათის მფლობელს/მოსარგებლეს გადასცეს დამატებითი საკრედიტო ბარათი დალუქული კონვერტით ხელიდან-ხელში, ასევე გადასცეს ბარათის პინ-კოდი დალუქული კონვერტით ან გაუგზავნოს SMS შეტყობინების სახით.

8.კონფიდენციალურობის დაცვა

კომპანია უზრუნველყოფს მისთვის მიწოდებულ კონფიდენციალური ინფორმაციის მაქსიმალურ დაცულობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კომპანია კლიენტის პერსონალურ ინფორმაციას ითხოვს საჭიროებიდან გამომდინარე, იმ მოცულობით, რაც საჭიროა ეფექტური მომსახურების გასაწევად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კლიენტს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია კომპანიისგან მისი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების თაობაზე.

კომპანიის მხრიდან კონფიდენციალური ინფორმაციის გადაცემა ხორციელდება კლიენტის წინასწარი თანხმობით ან/და კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

კომპანია მაქსიმალურად ზრუნავს კლიენტის პირადი კონფიდენციალური ინფორმაციის უსაფრთხოებასა და გაუმჟღავნებლობაზე, მაგრამ კომპანია არ იღებს კლიენტის მიერ კომპანიისთვის მიწოდებული საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად გაგზავნილი შეტყობინების/ინფორმაციის სხვა პირის მიღებით გამოწვეულ შედეგებზე.

კომპანიის მიერ ადმინისტრაციული ფუნქციების ეფექტურად შესასრულებლად, შესაძლოა კლიენტის მიერ გამოგზავნილ იქნას პერსონალური მონაცემები კომპანიის ელექტრონულ ფოსტაზე და/ან სხვა ელექტრონულ საშუალებაზე, რომელზეც მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან. კომპანია არ არის პასუხისმგებელი, გადაცემის პროცესში, მესამე პირის არასანქცირებული ჩარევის შედეგად, აღნიშნული ინფორმაციის უკანონო მოპოვებაზე, ან იმ ინფორმაციაზე, რომელიც კლიენტმა თავადვე გახადა საჯარო, ან გაავრცელა ნაკლებად უსაფრთხო ელექტრონული საშუალებებით.

წინამდებარე წესებსა და პირობებზე დათანხმებით, კლიენტი ადასტურებს, მასთან გაფორმებული ხელშეკრულების (შეთანხმების) ფარგლებში, კომპანიისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას, გაუგზავნოს კლიენტს შეტყობინება (მათ შორის, ელექტრონული ფორმით: მოკლე ტექსტური შეტყობინება, ელექტრონული ფოსტა) კომპანიის პროდუქტისა, თუ მომსახურების თაობაზე.

9.ცვლილების განხორციელება

კომპანია უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსების გზით ან/და კომპანიისთვის მისაღები სხვა ფორმით, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კლიენტის დამატებითი თანხმობისა და აქცეპტის გარეშე შეცვალოს პირობების, ხელშეკრულების (შეთანხმების) ან/და ნებისმიერი პროდუქტის/მომსახურების ნებისმიერი პირობა (მათ შორის და არა მხოლოდ, ნებისმიერი პროდუქტის მოცულობა, მოქმედების ვადა ან/და საპროცენტო განაკვეთის, საპროცენტო სარგებლის, საკომისიოს, პირგასამტეხლოს ან/და სხვა გადასახდელის მოცულობა/ოდენობა ან/და მათი დარიცხვის წესი ან/და გადახდის ვადა). ამგვარი ცვლილება სავალდებულოა კლიენტისთვის მისი გამოქვეყნების დღის მომდევნო სამუშაო დღიდან, თუ კომპანიის მიერ ან/და კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;

თუ პირობების/ხელშეკრულების (შეთანხმების) ცვლილება/დამატება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, ან/და არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას, ან/და ცვლილება/დამატება ეხება ახალ საგადახდო მომსახურებას, რომელიც არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის ხელშეკრულებით (შეთანხმებით) გათვალისწინებულ საგადახდო მომსახურებას, კომპანია არ არის ვალდებული, შეატყობინოს კლიენტს ასეთი ცვლილების/დამატების შესახებ;

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით გათვალისწინებული ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე გათვალისწინებულია წინასწარ შეტყობინების ვადა, ნებისმიერი ასეთი ცვლილება/დამატება ჩაითვლება კლიენტთან შეთანხმებულად, თუ კლიენტი ცვლილების/დამატების ძალაში შესვლამდე არ შეატყობინებს კომპანიას რომ არ ეთანხმება ცვლილებას/დამატებას;

პირობებში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება წარმოადგენს საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) დანართს და მის განუყოფელ ნაწილს.

კლიენტი პასუხისმგებელია რეგულარულად გაეცნოს წინამდებარე წესებსა და პირობებს.

10. საჩივრის განხილვის პროცედურა და ვადა

კლიენტს უფლება აქვს წარადგინოს განხორციელებული ოპერაციის შესახებ საჩივარი კომპანიაში ზეპირი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. საჩივარი უნდა იყოს ჩამოყალიბებული და მისი შინაარსი გასაგები, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანიას უფლება აქვს კლიენტს მოსთხოვოს საჩივრის დაზუსტება ან მისი წერილობით წარმოდგენა.
განხორციელებული ოპერაციის შესახებ კლიენტს უფლება აქვს ორგანიზაციას მიმართოს საჩივრით (რომლის სტანდარტული ფორმის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ფილიალებსა და სერვისცენტრებში, ხოლო ელექტრონული ფორმა ხელმისაწვდომია ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე: www.intelexpress.net). კომპანიის მიერ საჩივრის განხილვის მაქსიმალური ვადაა 20 (ოცი) სამუშაო დღე სათანადო ფორმით შედგენილი წერილობითი/ელექტრონული საჩივრის კომპანიის მიერ მიღების მომენტიდან. კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თუ აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, კომპანია აცნობებს კლიენტს დაგვიანების დასაბუთებულ მიზეზს და საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების და კლიენტისთვის გაცნობის ვადას, რომელიც არ იქნება 55 სამუშაო დღეზე მეტი. საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ კლიენტს ეცნობება წერილობით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). საჩივრის განხილვის პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ორგანიზაციის ტელეფონის ნომერზე: 2492525.

11. დავის გადაწყვეტის წესი და იურისდიქცია

წინამდებარე წესები და პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

დავის წარმოშობის შემთხვევაში, საქმეს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დავასთან დაკავშირებით კომპანიის სასარგებლოდ მიღებული პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა მიექცეს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის შესაბამისად.

12. დასკვნითი დებულებები

მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქართულ ენაზე, ამასთან, კომპანია უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაცია განახორციელოს კლიენტისთვის მისაღებ სხვა ენაზეც;

წინამდებარე დოკუმენტში არსებული რომელიმე პუნქტის/აბზაცის და/ან წინადადების ჩანაწერის ბათილობა, არ იწვევს წესებისა და პირობების სხვა დათქმული პირობების ბათილობას.

პირობები ძალაშია მომსახურების მოქმედების ვადით და მოქმედებს მის შეწყვეტამდე ამ პირობებით ან/და კლიენტთან გაფორმებული საკრედიტო ბარათით სარგებლობის შესახებ ხელშეკრულების (შეთანხმების) განსაზღვრული წესის შესაბამისად,

კომპანიის საზედამხედველო ორგანოა საქართველოს ეროვნული ბანკი, ვებგვერდის მისამართი - www.nbg.gov.ge

საზედამხედველო ორგანო არცერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი კომპანიის მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე

საკონტაქტო ინფორმაცია

სს მისო ინტელექსპრესი

საიდენტიფიკაციო კოდი: 202353176

მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N89/24

საკონტაქტო ნომერი: +995 32 2 49 25 25

ელ. ფოსტა: info@intelexpress.ge ან Mastercard@intelexpress.ge

საყურადღებო ბმულები და დანართები

"MasterCard"-ის პროცედურები და წესები

კომპანიის ფილიალები